ქ. ბათუმში, სახანძრო სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №3-1

ქ. ბათუმი, **19 აპრილი, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით ლეკვეიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

პაატა აცინბა - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

სხდომას არ ესწრებოდა: არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ, რომელიც იმყოფება მივლინებაში, ქ. თბილისში.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, სახანძრო სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა პაატა აცინბამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, ბათუმში, სახანძრო სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება;

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს წინამდებარე ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 19 აპრილისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: დავით ლეკვეიშვილი

ვლადიმერ ხინთიბიძე

პაატა აცინბა